ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5401797

ნომერი: AR1823458

თარიღი : 26.04.2021

გაცემის თარიღი : 14.05.2021

გაცნობის თარიღი : 14.05.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი II , ქუჩა ჩალაძე , შპს ,,იფქლის" მიმდებარედ (ნაკვეთი 10/011); ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი , II კვარტალი , კორპუსი N12-ის მიმდებარედ.; ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი II , ქუჩა ჩალაძე , შპს "იფქლის" მიმდებარედ. ; ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი , II კვარტალი , ქუჩა ჩალაძე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დანიელ იოსებაშვილი პ/ნ 01008025850
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ II კვ. კორ. 8 ბ. 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. საჭიროა შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე მოიხსნას და არ ფიქსირდებოდეს ამონაწერში. ასევე წარმოდგენილ იქნეს თვითმმართველთან არსებული 2018 წლის 5 იანვრის ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

დოკუმენტაცია გადაგზავნილია ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 60-01211333534 წერილით. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.